სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

- **დავალება არჩევითი პასუხებით (№1-13, 21.1, 25.1-25.3)**

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით **X** ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. შეუძლებელია გადასწორებული პასუხის ხელმეორედ არჩევა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

- **თანმიმდევრობის დადგენა (№14)**

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. დავალება 1 ქულით ფასდება.

- **შესაბამისობის დადგენა (№15-17)**

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

- **შეცდომების გასწორება (№18)**

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვა). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში (შეცდომა I სვეტში, ხოლო შესწორებული ვარიანტი - II სვეტში). გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

- **შეცდომის გასწორება (№19)**

დავალებაში მოცემულია ერთ თემასთან დაკავშირებული ორი ტექსტი. ორივე ტექსტი შეიცავს ფაქტობრივ შეცდომებს. თქვენი ამოცანაა ტექსტების გააანალიზება, შეცდომების აღმოჩენა და ტექსტების შეფასება წინასწარ მოცემული სქემით განსაზღვრული კრიტერიუმებით. შეფასება ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

- **დავალება ღია დაბოლოებით (№20, 21.2, 21.3, 22, 23, 24, 25.4-25.7)**

დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და კითხვა. პასუხი უნდა იყოს შეკითხვის ადეკვატური და კონკრეტული. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

1. **რა ეწოდება ინდივიდთა ჯგუფს, რომელიც საზოგადოებაში გაბატონებული ცხოვრების წესისგან განსხვავებული ინტერესებისა და ფასეულობების ირგვლივაა გაერთიანებული?**

ა. მრევლი

ბ. სოციუმი

გ. კოლექტივი

დ. სუბკულტურა

2. **რომელი მოაზროვნე *<u>არ უკავშირდება</u>* საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის შექმნას?**

ა. ჯონ ლოკი

ბ. დევიდ ჰიუმი

გ. თომას ჰობსი

დ. ჟან-ჟაკ რუსო

3. რომელი მსჯელობაა მართებული კონფლიქტის მონაწილე მხარეთა ინტერესებისა და პოზიციების შესახებ?

ა. პოზიციები კონფლიქტში მონაწილე მხარეთა საჯაროდ გაცხადებული მოთხოვნებია, ხოლო ინტერესები, პოზიციების მსგავსად, წარმოადგენს მხარეთა საბოლოო მიზანს

ბ. მხარეთა ინტერესები კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს წარმოადგენს, ხოლო პოზიციები მათი რეალური სურვილებია

გ. ინტერესები კონფლიქტში მონაწილე მხარეთა რეალური სურვილებია, რომლებიც გაცხადებული პოზიციების ანუ მხარეთა მოთხოვნების უკან დგას

დ. ინტერესებს მხარეები ადგენენ კონფლიქტის პროცესში, ხოლო პოზიციები მათ კონფლიქტის წარმოქმნამდე აქვთ განსაზღვრული

4. რომელი განმარტება შეესაბამება ეკონომიკაში შედარებითი უპირატესობის კონცეფციას?

ა. გარკვეული პროდუქციის წარმოება სხვა მწარმოებელთან შედარებით უფრო მეტი რესურსების გამოყენებით

ბ. გარკვეული პროდუქციის წარმოება სხვა მწარმოებელთან შედარებით უფრო ნაკლები ალტერნატიული დანახარჯით

გ. ბაზარზე გარკვეული პროდუქციის სხვა მწარმოებელთან შედარებით უფრო დაბალ ფასად მიწოდება

დ. სხვა მწარმოებელთან შედარებით პროდუქციის ხარისხის უფრო ეფექტურად გაზრდა

5. პატივისა და ღირსების შესახებ მსჯელობებიდან რომელია მართებული?

ა. პატივი პიროვნების მიერ საკუთარი შესაძლებლობების სრული რეალიზაციაა საზოგადოებაში, ხოლო ღირსება თვითრეალიზაციის ფაქტობრივი შედეგია

ბ. პატივი გულისხმობს საზოგადოების ერთგვაროვან დამოკიდებულებას პიროვნებისადმი, ხოლო ადამიანურ ღირსებას პიროვნება იძენს საკუთარი მოქალაქეობრივი აქტივობით

გ. ღირსება არის საზოგადოების თითოეული წევრისათვის ობიექტური მოცემულობა, ხოლო პატივი - პიროვნების დაფასება საზოგადოებაში

დ. ღირსება გულისხმობს პიროვნების დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი, ხოლო პატივი - საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნებისადმი

6. დიაგრამაზე მოცემულია მდგრადი განვითარების კომპონენტების ურთიერთმიმართება. რა უნდა ეწეროს კითხვის ნიშნის მაგივრად?



ა. მიზანშეწონილი
ბ. უნივერსალური
გ. შეუზღუდავი
დ. აგრარული

7. რომელი განმარტება შეესაბამება პროტექციონიზმის ცნებას ეკონომიკაში?

ა. სახელმწიფოს შიდა ბაზარზე თავისუფალი იმპორტ-ექსპორტის დაცვა

ბ. საერთაშორისო ბაზარზე პროდუქციის იმპორტ-ექსპორტის ბალანსის დაცვა

გ. სახელმწიფოს შიდა ბაზარზე ადგილობრივ მეწარმეთა დაცვის მიზნით იმპორტის შეზღუდვა

დ. საერთაშორისო ვაჭრობაში ღია ეკონომიკური თანამშრომლობის დაცვა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით

8. ინტელექტუალური საკუთრებისა და შემოქმედების შესახებ მსჯელობებიდან რომელი *<u>არ შეესაბამება</u>* საქართველოს კონსტიტუციას?

ა. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია და შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია

ბ. ინტელექტუალური საკუთრების გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის გრძნობებს

გ. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია და შემოქმედებით პროცესში ჩარევა დაუშვებელია

დ. დაუშვებელია შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს

9. რომელი მოსაზრება გამოხატავს მართებულად პატრიარქალურ საზოგადოებაზე ფემინისტურ შეხედულებას?

ა. პატრიარქალურ საზოგადოებას საფუძვლად უდევს მთელი რიგი მცდარი შეხედულებებისა, რომელთა წყაროც თავად ქალები არიან

ბ. პატრიარქალური საზოგადოების არსებობა გაუმართლებელია, რამდენადაც ის ეფუძნება მცდარ წარმოდგენას გენდერული როლების შესახებ

გ. პატრიარქალური საზოგადოების არსებობა გამართლებულია, თუ იგი ასახავს იმ კულტურულ მოცემულობას რომელშიც სოციუმი არსებობს

დ. პატრიარქალური საზოგადოება მრავალი ათასი წლის განმავლობაში ფორმირდებოდა და მასში არსებული გენდერული როლები სამართლიანად არის გადანაწილებული

10. რა ძირითადი ამოცანა გააჩნია საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს?

ა. შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე სახელმწიფოებს შორის სამართლიანობის აღდგენის უზრუნველყოფა

ბ. იმ მოქალაქეთა უფლებების დაცვა, რომელთა უფლებები ირღვევა მხოლოდ საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების დროს

გ. შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის საომარი მოქმედებების წესებისა და მეთოდების დარეგულირება, მიუხედავად იმისა, ეს კონფლიქტი ატარებს თუ არა საერთაშორისო ხასიათს

დ. სახელმწიფოთა შორის შეიარაღებული კონფლიქტების ლოკალიზების ხელშეწყობა

11. რომელი მსჯელობა გამოხატავს მართებულად ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემებში პოზიტიური და ნეგატიური უფლებების შინაარსს?

ა. ნეგატიური უფლებები აღნიშნავს იმ ვალდებულებებს, რომელიც ეკისრება თითოეულ პიროვნებას სახელმწიფოსთან მიმართებაში, ხოლო პოზიტიური უფლებები ამ ვალდებულებათაგან გათავისუფლების საფუძველია

ბ. პოზიტიური უფლებები წარმოადგენს პიროვნების თავისუფლების იმ სივრცეს, სადაც იგი დაცულია ხელისუფლების ჩარევისგან, ხოლო ნეგატიური უფლებები ზრდის ხელისუფლების როლს პიროვნულ თავისუფლებაში

გ. პოზიტიური უფლებები ზრდის და ავითარებს პიროვნების თავისუფლებას კანონით გათვალისწინებულ ჩარჩოებში, ხოლო ნეგატიური უფლებები სახელმწიფოს უფლებას აძლევს ჩაერიოს და ზოგჯერ მკაცრადაც შეზღუდოს პიროვნების თავისუფლება

დ. ნეგატიური უფლებები განსაზღვრავს პიროვნების თავისუფლების სივრცეს, რომელშიც ხელისუფლებას არ აქვს ჩარევის უფლება, ხოლო პოზიტიური უფლებები სახელმწიფოსგან დახმარებისა თუ რესურსების მოთხოვნის უფლებაა

12. დიაგრამა ასახავს ახალგაზრდებში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე სხვადასხვა აქტორის გავლენას საქართველოში (ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2016 წელი) :



რომელი მსჯელობა *<u>არ შეესაბამება</u>* დიაგრამის მონაცემებს?

ა. ზოგადად ახალგაზრდებში გადაწყვეტილების მიღებაზე დედის გავლენა სხვა გავლენებზე მაღალია

ბ. მშობლების გავლენა მდედრობითი სქესის ახალგაზრდებზე უფრო მაღალია, ვიდრე მამრობითი სქესის ახალგაზრდებზე

გ. მეუღლის გავლენა მდედრობითი სქესის ახალგაზრდებზე უფრო მაღალია, ვიდრე მამრობითი სქესის ახალგაზრდებზე

დ. მამრობითი სქესის ახალგაზრდები გადაწყვეტილების მიღებაში უფრო დამოუკიდებლები არიან, ვიდრე მდედრობითი სქესის ახალგაზრდები

13. დავალებაში მოცემულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შედეგები:

- 2010-2017 წლებში საქართველოში განრიდების პროგრამაში 2300-ზე მეტი 21 წლამდე ახალგაზრდა ჩაერთო, რომელთათვისაც ჩადენილი დანაშაული პირველი იყო.
- განრიდების ვადის ამოწურვიდან 3 წლის განმავლობაში განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა განრიდებული ახალგაზრდების 9%-მა.
- საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, 20 %-ზე ნაკლები რეციდივი კარგ მაჩვენებლად ითვლება.

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

ა. 2010-2017 წლებში გაიზარდა სისხლის სამართლებრივი დევნის, არასრულწლოვანთა დაკავების, მათ მიმართ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შემთხვევები

ბ. განრიდების მაჩვენებლის ზრდის პარალელურად, განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელიც იზრდება

გ. აღდგენითი მართლმსაჯულება რეალურად უბიძგებს არასრულწლოვნებს დანაშაულისკენ, რადგან მათ არ აქვთ სისხლის სამართლებრივი დევნისა და თავისუფლების აღკვეთის შიში და რეაგირების გარეშე ტოვებს დანაშაულის ფაქტს

დ. აღდგენითი მართლსაჯულება არ ზრდის განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელს, ამავე დროს შანსს აძლევს არასრულწლოვნებს განაგრძონ ცხოვრება ნასამართლეობისა და სასჯელის გარეშე

14. (1) სქემაზე მოცემული სახელმწიფოები დაალაგეთ თანმიმდევრულად მონარქიულიდან რესპუბლიკური მმართველობის ფორმაზე გადასვლის დროის მიხედვით:

	3*		

* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი

15. (1) II სვეტში მოცემულია პოლიტიკური თეორიები, ხოლო I სვეტში - თუ რა როლი აქვს საზოგადოებას ამ თეორიების მიხედვით. დაამყარეთ შესაბამისობები:

I. საზოგადოების როლი	II. პოლიტიკური თეორიები
ა. ყოველგვარი ხელისუფლების ეჭვქვეშ დაყენება	1. პაციფიზმი
ბ. თავისუფალი ბაზრის მხარდაჭერა/ხელშეწყობა	2. ანარქიზმი
გ. არასამართლიანი კანონებისა და ქმედებების მშვიდობიანი გაპროტესტება	3. სოციალიზმი
დ. მილიტარისტული და შრომითი სამსახურის უზრუნველყოფა	4. კაპიტალიზმი
ე. საერთო კაპიტალის და წარმოების საშუალებების შექმნა	5. იმპერიალიზმი

16. (2) II სვეტში მოცემულ პოლიტიკურ მოაზროვნეებს შეუსაბამეთ I სვეტში მოცემული მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები დემოკრატიულ მმართველობაზე:

I. დემოკრატიულ მმართველობაზე გამოთქმული მოსაზრებები	II. პოლიტიკური მოაზროვნეები
ა. დაფუძნდება დემოკრატიული კონსტიტუცია, რომლის წყალობითაც დამკვიდრდება პროლეტარიატის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მმართველობა.	1. არისტოტელე 2. ალექსის დე ტოკვილი 3. მარტინ ლუთერ კინგი 4. ფრიდრიხ ენგელსი 5. მაჰათმა განდი
ბ. დემოკრატიულ სისტემაში ყველაზე სუსტს ისეთივე შესაძლებლობები უნდა ჰქონდეს, როგორიც ყველაზე ძლიერს.	
გ. დემოკრატიას და სოციალიზმს ერთიმეორესთან არაფერი აქვთ საერთო, გარდა ერთი სიტყვისა: თანასწორობა. მაგრამ შეხედეთ განსხვავებას: თუ დემოკრატია ისწრაფვის თანასწორობისაკენ თავისუფლებაში, სოციალიზმი- თანასწორობისაკენ შეზღუდვასა და მონობაში.	
დ. არისტოკრატია არის ისეთი სახელმწიფო, სადაც, პირველ რიგში, პატივს სცემენ ზნეობრივ ადამიანებს და მასში საზომია ზნეობა, ოლიგარქიაში საზომია სიმდიდრე, დემოკრატიაში - თავისუფლება.	
ე. დადგა დრო, რომ შევასრულოთ დემოკრატიის ნამდვილი დანაპირები. დადგა დრო, რომ თავი დავაღწიოთ ბნელ და აოხრებულ სეგრეგაციის ხეობას და დავადგეთ რასობრივი სამართლიანობის ნათელ გზას. დადგა დრო, რომ ავიღოთ ჩვენი ერი რასობრივი უსამართლობის ქვიშიდან და დავაფუძნოთ იგი ძმობის ერთიან კლდეზე.	

17. (1) რუკა ასახავს მსოფლიოს ქვეყნებში ინტერნეტის მომხმარებელთა პროცენტულ რაოდენობას. II სვეტში მოცემულ რუკის ლეგენდის ფერებს შეუსაბამეთ I სვეტში მოცემული ინტერნეტის მომხმარებელთა მაჩვენებელი:



I. ინტერნეტის მომხმარებელთა მაჩვენებელი	II. რუკის ლეგენდის ფერი
ა. ძალიან მაღალი	1.
ბ. მაღალი	2.
გ. საშუალო	3.
დ. ძალიან დაბალი	4.

18. (7) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

საზოგადოება და კულტურული განსხვავებულობა

კულტურა, თანამედროვე მნიშვნელობით, შეიძლება მოიცავდეს საერთო ენას, რელიგიას, წეს-ჩვეულებებს და აზროვნების სქემებს. საზოგადოებისთვის დამახასიათებელია კულტურათა მრავალფეროვნება, ვინაიდან მასში გაერთიანებულნი არიან განსხვავებული ადამიანები და სოციალური ჯგუფები. ამ განსხვავებულობის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის არსებობს მიდგომა, რომელსაც სეკულარიზმი ეწოდება.

კულტურული მრავალფეროვნების მართვის სამი ძირითადი ფორმა არსებობს: 1) ადამიანთა ჯგუფების გარიყვას, მათ იზოლაციას, რაიმე დისკრიმინაციული საშუალებებით მათ მკვეთრ გამიჯვნას საზოგადოების სხვა ჯგუფებისაგან უნიფიკაცია ეწოდება. 2) ასოციაცია გულისხმობს, განსხვავებული კულტურებისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებების წაშლას. 3) თანაარსებობის მოდელი გულისხმობს, როგორც საკუთარი კულტურის შენარჩუნებას, ასევე სხვისი კულტურის სრულად აღიარებას და საერთო ინტერესების საფუძველზე თანამშრომლობას განსხვავებულ ჯგუფებთან.

გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ერთი საზოგადოების შიგნით დომინანტი ჯგუფი ავიწროვებდა ეთნიკურ უმცირესობებს. ამის მაგალითია, ნაცისტური გერმანიის მიერ საკუთარი, ასევე, სხვა ქვეყნის ებრაელი მოქალაქეების ეთნიკური ნიშნით წმენდა. ეს კონკრეტული ისტორიული მოვლენა აპარტეიდის სახელითაა ცნობილი და ის კაცობრიობის წინაშე ჩადენილ ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ დანაშაულად ითვლება.

საქართველოშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების თანაცხოვრებას, ვინაიდან საქართველო მონოეთნიკური საზოგადოებაა. სწორედ ამას ემსახურება საქართველოს კონსტიტუციაც.

კონსტიტუცია საკრალური აქტია, რომელიც აღიარებს ყველა მოქალაქის თანასწორობას, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა.

მსოფლიოს კულტურათა მრავალფეროვნების შენარჩუნება გაეროს სპეციალიზირებული ორგანიზაციის - ეუთოს, ერთ-ერთი ფუნქციაა. ეს ორგანიზაცია ცდილობს სხვადასხვა კულტურული მონაპოვარის დაცვას და მის პოპულარიზაციას მსოფლიოს მასშტაბით.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

19. (6) დავალებაში მოცემულია მოსწავლის მიერ დაწერილი ორი ტექსტი თემაზე „სამართალი“. ტექსტები შესაძლოა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომებს. გაეცანით ტექსტებს, გააანალიზეთ მათი შინაარსი და შეაფასეთ ისინი შემოთავაზებული კრიტერიუმებით:

I ტექსტი:

ნებისმიერ კულტურაში არსებობს გარკვეული ძირითადი წესები, რომელთა დაცვა საზოგადოებაში წესრიგს ინარჩუნებს. ამ წესთა ერთობლიობას სამართალი ეწოდება. ამ წესებს, როგორც წესი, საკანონმდებლო ორგანო გამოსცემს და მათ კანონები ეწოდებათ.

პარლამენტის გარდა წესების დადგენა სახელმწიფო ორგანოს, ან ამა თუ იმ თანამდებობის პირსაც შეუძლია ბრძანების სახით. ამგვარი ბრძანების ამსახველ დოკუმენტს, სამართლებრივი აქტი ეწოდება და იგი ორნაირი შეიძლება იყოს: ნორმატიული და არანორმატიული. ნორმატიულია სამართლებრივი აქტი იმ შემთხვევაში, თუკი ის ერთ ძალიან კონკრეტულ შემთხვევას ეხება და მრავალჯერ გამოყენებისათვის არ არის განკუთვნილი.

თავის მხრივ, ნორმები სხვადასხვა ჯგუფად იყოფა, იმის მიხედვით, თუ რას არეგულირებენ ისინი და ამ ჯგუფებს სამართლის დარგები ეწოდებათ. მაგალითად, ადმინისტრაციული სამართალი აწესრიგებს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა ნაწილს; სისხლის სამართალი ეხება სხვადასხვა პიროვნებისა თუ ორგანიზაციის წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს; მუნიციპალური სამართალი ადამიანთა შორის ქონებრივ თუ საოჯახო საკითხებს ეხება.

სხვადასხვა კანონისა თუ ბრძანების დარღვევის საკითხებს სხვადასხვა ტიპის სასამართლოები განიხილავენ. მაგალითად სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საკითხებს განიხილავს საერთო სასამართლოთა სისტემა, რომელიც შედგება საქალაქო, სააპელაციო და საკონსტიტუციო სასამართლოებისგან.

II ტექსტზე გადასვლა

შეფასების სქემაზე გადასვლა

II ტექსტი:

ადამიანის ბუნება ისეთია, რომ ის ხშირად შედის კონფლიქტში სხვა ადამიანთან. ამ კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად შემუშავებულ იქნა სხვადასხვა წესი, რომლის დაცვა აუცილებელია. ამ წესებს ადგენს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი, თუმცა, არა მხოლოდ. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასაც თუ მოხელესაც შეუძლია სხვადასხვა წესის დადგენა, ე.წ. სამართლებრივი აქტების საშუალებით. თუკი ამ ტიპის ბრძანება განკუთვნილია მრავალჯერადი გამოყენებისათვის მას არანორმატიული სამართლებრივი აქტი ეწოდება.

კანონისა თუ სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში საქმეში ერთვება სასამართლო სისტემა. სასამართლო სისტემაც მრავალფეროვანია. მაგალითად არსებობს საერთო სასამართლო სისტემა, რომელიც თავის თავში აერთიანებს რაიონულ, სააპელაციო და საკონსტიტუციო სასამართლოებს. მისი საშუალებით მოქალაქეებს შეუძლიათ სხვა მოქალაქეებთან სხვადასხვა ტიპის დავის გადაწყვეტა.

თუმცა, ყველა სასამართლო ნებისმიერ საკითხს არ განიხილავს. არსებობს სხვადასხვა ტიპის დანაშაულებიც, რომელთა კლასიფიკაცია მათი სიმძიმითა თუ სხვა სპეციფიკური ნიშნების მიხედვით ხდება. მაგალითად არსებობს კონსტიტუციური სამართალი, რომელიც სამართლის ყველა დარგის ზოგად, უმნიშვნელოვანეს საკითხებს განიხილავს. საოჯახო, სამემკვიდრეო თუ სახელშეკრულებო საკითხებს ეხება სამოქალაქო სამართალი, ხოლო ეკოლოგიური სამართალი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოსა თუ დაწესებულების საქმიანობას აწესრიგებს.

I ტექსტზე დაბრუნება *შეფასების სქემაზე გადასვლა*

გაეცანით შეფასების სქემას და ორივე ტექსტი შეაფასეთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით. დაწერეთ შესაბამისი ქულა შეფასების სქემის თითოეული კრიტერიუმისთვის ცალ-ცალკე:

	I. კრიტერიუმები	II. მაქსიმალური ქულა	III. ქულების მინიჭების პრინციპი
A.	**სამართლებრივი აქტების კლასიფიკაცია**	2	თითოეული სწორად დასახელებული და განმარტებული სამართლებრივი აქტის კატეგორია - 1 ქულა
B.	**სამართლის დარგები**	5	თითოეული სწორად დასახელებული სამართლის დარგი და მისი რეგულირების სფერო - 1 ქულა
C.	**საერთო სასამართლოების სისტემა**	3	თითოეული სწორად დასახელებული საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი რგოლი - 1 ქულა

თქვენ მიერ მინიჭებული ქულები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში:

		A	B	C
19.1	I ტექსტის შეფასება			
19.2	II ტექსტის შეფასება			

I ტექსტზე დაბრუნება *II ტექსტზე დაბრუნება*

20. (4) სქემა არასრულად ასახავს საარჩევნო სისტემებს, მათი მუშაობის ძირითად პრინციპებსა და მათ დადებით მხარეებს. შეავსეთ სქემის ცარიელი უჯრები:

საარჩევნო სისტემა	არჩევის პრინციპი	დადებითი მხარე
20.1	დეპუტატის მანდატს იღებენ მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებმაც კანონით დადგენილი ხმების უმრავლესობა მიიღეს	20.2
პროპორციული სისტემა	20.3	20.4

21. (3) მოცემულია რუკა ლეგენდისა და სათაურის გარეშე. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



21.1 რა არის ასახული მოცემულ რუკაზე?

ა. საერთაშორისო ორგანიზაციები

ბ. მმართველობის ფორმები

გ. პრესის თავისუფლების ხარისხი

დ. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა

21.2 რას აღნიშნავს რუკაზე იასამნისფერი?

21.3 რუკის მონაცემთა საფუძველზე გააანალიზეთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებული ვითარება. იმსჯელეთ ამ ვითარების განმაპირობებელი მიზეზის შესახებ.

22. (5) დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ I ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე; *(დავალება 22.2)*

II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომელიც თქვენი აზრით, ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული II ამოცანის შესრულებას; *(დავალება 22.3)*

III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანისა და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. *(დავალება 22.1)*

22.1	**პროექტის მიზანი:** *(ჩაწერეთ მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე)*
22.2	**პროექტის I ამოცანა:** *(განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა I ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე)* **პროექტის II ამოცანა:** **საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობის პოლიტიკურ-კულტურული სარგებლის გააზრება**
22.3	**<u>I ამოცანის განხორციელების გზები:</u>** 1. ევროკავშირის ისტორიის შესახებ სკოლის თემისთვის ლექციის მოწყობა 2. სასკოლო კონფერენციის ჩატარება თემაზე: „ევროკავშირის პოლიტიკა“ 3. ევროპარლამენტის მოდელირებული სხდომის გამართვა უფროსკლასელთა მონაწილეობით **<u>II ამოცანის განხორციელების გზები:</u>** *(დაწერეთ მოცემული ამოცანის განხორციელების სამი სხვადასხვა გზა)* 1. 2. 3.

23. (4) გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:



23.1 რას განასახიერებენ ილუსტრაციაზე ორმოს კიდეზე და ორმოში მყოფი ადამიანები?

23.2 რომელ ორ პოლიტიკურ იდეოლოგიას ასახავს ილუსტრაცია?

23.3 არგუმენტირებულად იმსჯელეთ ილუსტრაციაზე ასახული იდეოლოგიების სუსტი მხარეების შესახებ.

24. **(5) გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:**

,,თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ უდიდესი კონსერვატულობა ერთხელ ნაცადის შენარჩუნებაში, იმ აპარატის უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო თვისებაა, რომელსაც კულტურის განვითარებაში ისეთივე ამოცანა ეკისრება, როგორც გენურ სტრუქტურას სახეობათა ცვლილებაში. შენარჩუნება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანიცაა, ვიდრე ახლის შემენა, ასე რომ, საგანგებო ანალიზის გარეშე არ გვეცოდინება ჩვენი კულტურის ტრადიციით გადმოცემული რომელი წესი თუ ჩვევა მოძველდა, რომელს შეიძლება შეველიოთ, და რომელი დავტოვოთ კულტურის მონაპოვრად.“

,,ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“, კონრად ლორენცი , 1903-1989

24.1 ტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრეთ და დაასახელეთ სადისკუსიო თემა. იმსჯელეთ თქვენს მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის მოცემულ ტექსტთან შესაბამისობისა და აქტუალურობის შესახებ;

24.2 A. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის დასაცავად;

B. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის უარსაყოფად;

(თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი.)

25. **(8) გააანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:**

წყარო N1

„ზოგადი ვარაუდის არსებობის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ ნაციონალური იდენტობის ძირითადი ნიშანთვისებები:

1. ისტორიული ტერიტორია, ანუ სამშობლო
2. საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება
3. საერთო საზოგადოებრივი მასკულტურა
4. ყველა წევრისათვის საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობანი
5. საერთო ეკონომიკა მის წევრთათვის ტერიტორიული მობილურობის უზრუნველყოფით.“

„ნაციონალური იდენტობა“, ენთონი სმითი, 1939-2016

წყაროებზე გადასვლა: 2 3 4 *დავალებებზე გადასვლა:* 25.1 25.2 25.3 25.4 - 25.7

წყარო N2

„ტერიტორიული ნაციონალიზმი: ნაციის ცნება ძირითადად სამოქალაქო და ტერიტორიული ხასიათისაა. ისინი ესწრაფვიან ხშირად განსხვავებული ეთნიკური პოპულაციების გაერთიანებასა და მათ ახალ პოლიტიკურ ერთობაში ინტეგრაციას, რათა ძველი კოლონიური სახელმწიფოსგან შექმნან ახალი „ტერიტორიული“ ნაცია.

ეთნიკური ნაციონალიზმი: ნაციის ცნება ძირითადად ეთნიკური და გენეალოგიურია. ისინი ესწრაფვიან უფრო დიდი პოლიტიკური ერთობიდან გამოყოფას და ახალი პოლიტიკური „ეთნონაციის“ შექმნას.“

,,ნაციონალური იდენტობა“, ენთონი სმითი, 1939-2016

წყაროებზე გადასვლა: *1* *3* *4* *დავალებებზე გადასვლა:* *25.1* *25.2* *25.3* *25.4 - 25.7*

წყარო N3

- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.
- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.
- დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 1918

წყაროებზე გადასვლა: 1 2 4 *დავალებებზე გადასვლა:* 25.1 25.2 25.3 25.4 - 25.7

წყარო N4

„ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, - რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპილიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.“

ვაჟა-ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, 1905 წ.

წყაროებზე დაბრუნება: 1 2 3 *დავალებებზე გადასვლა:* 25.1 25.2 25.3 25.4 - 25.7

25.1 ვაჟა-ფშაველას ტექსტის მიხედვით:

ა. თუკი ადამიანი საკუთარ სამშობლოს არ ემსახურება, ის არ არის საკუთარი ერის ჭეშმარიტი წევრი

ბ. ადამიანის ზნეობრივი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ექცევა ის სხვა ერის წარმომადგენლებს

გ. როგორც პიროვნების აღზრდაა აუცილებელი, ასევეა ერის შემთხვევაშიც. ამის გარეშე, ერი ვერ შეძლებს საკუთარი თავის დამკვიდრებას საერთაშორისო ასპარეზზე და აუცილებლად შეეცდება საკუთარი უპირატესობის წარმოჩინებას სხვებთან მიმართებაში

დ. ადამიანი ერთდროულად საკუთარი ერის წარმომადგენელიც არის და მთელი კაცობრიობისაც, ამდენად პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი თანხვედრაშია ერთმანეთთან, თუკი ადეკვატურად იქნება აღქმული პიროვნების მიერ

წყაროებზე დაბრუნება: 1 2 3 4 *დავალებებზე გადასვლა:* 25.2 25.3 25.4 -25.7

25.2 ენტონი სმითის ტექსტის მიხედვით:

ა. ნაციონალიზმი სახელმწიფოს განვითარებისა და წინსვლისთვის უმთავრესი მოვლენაა

ბ. ტერიტორიული ნაციონალიზმი ანტიკოლონიური მოვლენაა და ის ერთი ეთნიკური ჯგუფის წევრების გაერთიანებას გულისხმობს

გ. ეთნიკური ნაციონალიზმი მოქალაქეთა წარმომავლობას არაფრად აგდებს და მხოლოდ მათ რელიგიურ მიკუთვნებულობას ითვალისწინებს

დ. ტერიტორიული ნაციონალიზმი მოქალაქეებს მათი საცხოვრებელი ტერიტორიის მიხედვით აჯგუფებს და აერთიანებს მათ ერთ ერში

წყაროებზე დაბრუნება: *1* *2* *3* *4*

დავალებებზე გადასვლა: *25.1* *25.3* *25.4 -25.7*

25.3 წყაროების საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული ?

ა. ადამიანთა ჯგუფს შესაძლებელია ეწოდოს ერი, თუკი მას ახასიათებს ენტონი სმითის მიერ აღწერილი სულ მცირე სამი ნიშანთვისება

ბ. ვაჟა-ფშაველა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ნაციონალისტად, რამდენადაც ის კოსმოპოლიტიზმს ქადაგებს

გ. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი თანხვედრაშია ტერიტორიული ნაციონალიზმის შინაარსთან

დ. ენთონი სმითის ერებთან დაკავშირებული მოსაზრება მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეიძლება აღწერდეს და ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოდგება მრავალსაუკუნოვანი საქართველოს აღსაწერად

წყაროებზე დაბრუნება: 1 2 3 4 *დავალებებზე გადასვლა:* 25.1 25.2 25.4 -25.7

25.4 N4 წყაროს მიხედვით იმსჯელეთ, რა იგულისხმება კოსმოპოლიტიზმის ,,ჩვენებურ“, ,,არაგონიერ“ გაგებაში?

25.5 ვაჟა-ფშაველას აზრით, კოსმოპოლიტიზმი „საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს“. რა უბედურებას გულისხმობს ავტორი?

25.6 N3 წყაროს მიხედვით იმსჯელეთ იმ სოციო-პოლიტიკურ კონტექსტზე, რომელმაც განაპირობა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში აღნიშნული პუნქტების ჩაწერა?

25.7 იმსჯელეთ სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობაზე თანამედროვე საქართველოში და მათ როლზე ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში. მსჯელობა დაასაბუთეთ N1 წყაროს გამოყენებით.